ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი № 7

ქ. ახმეტა 2 ივნისი, 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: რ. ბაღაკაშვილი, ბ. ჭიჭიკლიშვილი, მ.კოხტაშვილი, თ.მგელიაშვილი, ა.ბუღრიძე, ა. შათირიშვილი, გ. ხუცურაული, ლ. ითიურიძე, რ. ალხანაშვილი, რ. გახუაშვილი, ი. მრელაშვილი, ლ. უძილაური, გ. ხადიშვილი, თ. ბორჩაშვილი, დ. იმერლიშვილი, ვ.სუხოშვლი, თ. წითელაური, ფ, შიომღვდლიშვილი, გ. მაისურაძე, შ. ტერტერაშვილი, ლ. გოგოთიძე, თ. მოზაიძე, ვ. დედაბრიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდა: პანკისის სათემო რადიოს წარმომადგენელი - რამზან გორგიშვილი.

სხდომა გაიხსნა 11 ^{00} საათზე.

დღის წესრიგი

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

2. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე" ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ზ. ალვანში მდებარე, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის II სართულზე არსებული 61.93 კვ.მ ფართის ა(ა)იპ „თუშეთის სათემო საბჭო"- სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურის" რეორგანიზაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

5. ქ. ახმეტაში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ტაქსების) დგომისთვის ადგილის გამოყოფის შესახებ.

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

კენჭისყრის დაყენებამდე, მომხსენებელმა თინათინ კუდიანაშვილმა ითხოვა, დღის წესრიგიდან მე -5 საკითხის ამოღება ხელახალი შესწავლის მიზნით, რაზეც ყველა საკრებულოს წევრი დაეთანხმა.

სხდომა დატოვა ლევან გოგოთიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის შეცვლილი სახით მიღება:

სხდომას ესწრება 23 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 20

მონაწილეობა არ მიიღო: 3 (შ. ტერტერაშვილმა, ვ. დედაბრიშვილმა, გ. მაისურაძემ.)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შესული ცვლილებით (ცვლილება N7059-რს, 17.07.2020) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება დაამტკიცონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესი.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცება.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

პროექტი შედგება დანართისაგან, რომელიც მოიცავს 7 მუხლს, სადაც საუბარია პირისთვის საჯარიმო ქვითრის ჩაბარებაზე, ხოლო ჩაუბარებლობის შემთხვევაში გამოქვეყნებაზე. პროექტის მიხედვით მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული პირს საჯარიმო ქვითარს ფოსტის მეშვეობით უგზავნის, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. თუ პირს საჯარიმო ქვითარი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ვერ ჩაბარდა, საჯარიმო ქვითარი ბრუნდება ფოსტაში და დაბრუნებიდან არაუგვიანეს მე-60 დღისა, აღნიშნულ პირს ეგზავნება განმეორებით, იმავე მისამართზე. საჯარიმო ქვითრის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში სტრუქტურული ერთეული ვალდებულია საჯარიმო ქვითარი

გამოაქვეყნოს საჯაროდ ოფიციალურ ვებგვერდზე www.akhmeta.gov.ge . საჯარიმო ქვითარი პირისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მიერ ჯარიმის გადახდის შემთხვევაში საჯარიმო ქვითარი (მონაცემები) ოფიციალური ვებგვერდიდან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ იშლება ჯარიმის გადახდის დადასტურებისთანავე.

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული (შემდგომ - სტრუქტურული ერთეული), საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 290[4] მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შესაბამის პირს (შემდგომ - პირი) საჯარიმო ქვითარს უგზავნის ფოსტის მეშვეობით, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

2. თუ პირს საჯარიმო ქვითარი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ვერ ჩაბარდა, საჯარიმო ქვითარი ბრუნდება ფოსტაში და დაბრუნებიდან არაუგვიანეს მე-60 დღისა, აღნიშნულ პირს ეგზავნება განმეორებით, იმავე მისამართზე.

3. საჯარიმო ქვითარი, პირისათვის ფოსტის მეშვეობით განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში უბრუნდება სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ვალდებულია აღნიშნული საჯარიმო ქვითარი გამოაქვეყნოს საჯაროდ.

4. თუ პირი მისთვის დაჯარიმების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის) თაობაზე ინფორმაციის მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან სხვა ტექნიკური საშუალებით გაგზავნიდან 10 კალენდარულ დღეში გადაიხდის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით (საჯარიმო ქვითრით) გათვალისწინებულ ჯარიმას, მას ამ ჯარიმის ოდენობა 20 პროცენტით შეუმცირდება. ჯარიმის ამ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში პირი კარგავს აღნიშნული შეღავათით სარგებლობის უფლებას. პირს უფლება აქვს, ამ შეღავათით ისარგებლოს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ჯარიმას დაჯარიმების შესახებ დადგენილების გამოტანიდან (საჯარიმო ქვითრის გამოწერიდან) 10 კალენდარულ დღეში გადაიხდის, მიუხედავად იმისა, გაეგზავნა თუ არა მას დაჯარიმების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის) თაობაზე ინფორმაცია ამ წესის შესაბამისად, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან სხვა ტექნიკური საშუალებით.

მუხლი 3

1. პირისთვის საჯარიმო ქვითრის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, სტრუქტურული ერთეული ფოსტის მიერ მისთვის დაბრუნებულ საჯარიმო ქვითარს დაუყოვნებლივ აქვეყნებს საჯაროდ, ოფიციალურ ვებგვერდზე www.akhmeta.gov.ge .

2. საჯარიმო ქვითრისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება ხდება ავტომატურად, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.

3. საჯარიმო ქვითარი პირისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა მისი ამ წესით დადგენილი წესით, საჯაროდ, ოფიციალურად ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

მუხლი 4

1. საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნება ხდება შემდეგნაირად: ოფიციალურ ვებგვერდზე სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ ადგილზე თავსდება იმ სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო სანომრო ნიშნების სრული სია, რომელთა მფლობელებზეც/მესაკუთრეებზეც გამოქვეყნების მომენტისათვის გამოწერილია საჯარიმო ქვითარი და იგი არ ჩაბარებია პირს ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად.

2. დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრო ნიშნის მონიშვნის გზით მოძებნოს და გაეცნოს ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით გამოწერილ საჯარიმო ქვითარს.

3. ოფიციალურ ვებგვერდზე საჯარიმო ქვითართან ერთად ასევე თავსდება შესაბამისი ბმული, სადაც დადგენილი წესების დაცვით შესაძლებელია კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის ნახვა.

მუხლი 5

საჯაროდ გამოქვეყნებული საჯარიმო ქვითრის გაცნობისა და მის შესახებ ინფორმაციაზე სწრაფი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სტრუქტურული ერთეული საჯარიმო ქვითრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების თაობაზე ინფორმაციას მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით უგზავნის პირს, თუ მათ მონაცემთა ბაზაში არსებობს ამ პირის საკონტაქტო ინფორმაცია.

მუხლი 6

1. საჯარიმო ქვითარი ოფიციალური ვებგვერდიდან ავტომატურად წაიშლება მისი ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან 90 კალენდარული დღის გასვლისთანავე, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შემთხვევისა.

2. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მიერ ჯარიმის გადახდის შემთხვევაში საჯარიმო ქვითარი (მონაცემები) ოფიციალური ვებგვერდიდან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ იშლება ჯარიმის გადახდის დადასტურებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 23 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 3 (შ. ტერტერაშვილმა, ვ. დედაბრიშვილმა, გ. მაისურაძემ.)

მონაწილეობა არ მიიღო - 2 (თ. მოზაიძემ, ფ. შიომღვდლიშვილმა.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №8: „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე“ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება თანდართული დანართის შესაბამისად.

დანართი თან ერთვის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 23 წევრი.

მომხრე - 22

მონაწილეობა არ მიიღო - 1 (გ. მაისურაძემ)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 15: ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე" ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ზ. ალვანში მდებარე, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის II სართულზე არსებული 61.93 კვ.მ ფართის ა(ა)იპ ,,თუშეთის სათემო საბჭო"- სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით, სოფ. ზ. ალვანში მდებარე, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის II-სართულზე არსებული 61.93კვ.მ ფართის ა(ა)იპ „თუშების სათემო საბჭო"-სთვის პირობიანი იჯარის ფორმით გადაცემა, საკადასტრო კოდი: 50.01.35.078
2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით პირობიანი იჯარის ფორმით გასაცემი, სოფ. ზ. ალვანში მდებარე მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის II-სართულზე არსებული 61.93კვ.მ ფართის:
   ა) სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური 715.0 (შვიდას ხუთმეტი) ლარის ოდენობით.

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 წელი.

გ) სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობები შემდეგი სახით:

- ობიექტი გამოყენებულ იქნას პირდაპირი დანიშნულებით ზემო ალვნის სათემო სივრცის მოწყობისთვის.
- საიჯარო ფართს ჩაუტარდეს კაპიტალური რემონტი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს ოთხი თვისა.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 02 დეკემბრის N43 განკარგულება-„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ზ. ალვანში მდებარე, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის II-სართულზე არსებული 61.93კვ.მ საიჯარო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 23 წევრი.

მომხრე - 21

მონაწილეობა არ მიიღო - 2 (ვ. დედაბრიშვილმა, გ.მაისურაძემ.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 16: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ზ. ალვანში მდებარე, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის II სართულზე არსებული 61.93 კვ.მ ფართის ა(ა)იპ „თუშეთის სათემო საბჭო"- სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურის" რეორგანიზაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

1.მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს:

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურის“ რეორგანიზაციის თაობაზე;

1.2 განხორციელდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახურის“ რეგისტრირებულ მონაცემებში სახელის ცვლილება და სახელწოდებად განისაზღვროს ააიპ ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“;

1.3. რეორგანიზაციის/გამოყოფის შედეგად შეიქმნას ახალი იურიდიულ პირი ააიპ ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური“.

სხდომა დატოვა ვალერი დედაბრიშვილმა და გიორგი მაისურაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 21 წევრი.

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 2 (ფ. შიომღვდლიშვილმა, შ. ტერტერაშვილმა.)

მონაწილეობა არ მიიღო - 1 (რ. გახუაშვილმა)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 17: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურის“ რეორგანიზაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:10 საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თამარ ყეინიშვილი**